საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო

იურიდიული სამსახურის დებულება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიული სამსახურის დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს (შემდგომში – აღსრულების ეროვნული ბიურო) იურიდიული სამსახურის (შემდგომში – სამსახური) საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, მიზნებს, ამოცანებს, ფუნქციებს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობის და ანგარიშვალდებულების საკითხებს.

1.2. სამსახური წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურულ ერთეულს. იგი შექმნილია და ფუნქციონირებს აღსრულების ეროვნული ბიუროს ერთიან სისტემაში ''საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 6 მაისის N24 ბრძანებით დამტკიცებული აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების (შემდგომში – დებულება) შესაბამისად.

1.3. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონი ''სააღსრულებო წარმოებათა შესახებ'', აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულება, საქართველოს იუსტიციის მინისტრის და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტები, სამსახურის დებულება, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები.

1.4. სამსახურის მიზნებია:

ა) აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს კანონიერი ინტერესების დაცვა.

1.5. სამსახურის ამოცანებია – სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით აღსრულების ეროვნული ბიუროს მიზნების განხორციელების უზრუნველყოფა და აღსრულების ეროვნული ბიუროს გამართული ფუნქციონირების სამართლებრივი უზრუნველყოფა;

2. იურიდიული სამსახურის ფუნქციები

2.1. სამსახური, მის წინაშე არსებული ამოცანების შესასრულებლად ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

2.1.1. სამართალშემოქმედებითი საქმიანობის სფერო:

ა) აღსრულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის განსახილველად წარდგენა და საკანონმდებლო ორგანოში საკანონმდებლო აქტების პროექტების მხარდაჭერა;

ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით გამოსაცემი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

გ) არსებულ საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების პროექტების მომზადება, განსახილველად წარდგენა და მხარდაჭერა;

2.1.2. სარევიზიო სამართლებრივი საქმიანობის სფერო:

ა) აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი ხასიათის აქტების რევიზია და ვიზირება;

ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებების სამართლებრივი შეფასება და შესაბამისი დასკვნების მომზადება;

გ) საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით გამოცემული სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების ან/და მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის უზრუნველყოფა.

2.1.3. საკონსულტაციო საქმიანობის სფერო:

ა) აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებული დავების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულებისათვის და ტერიტორიული ორგანოებისათვის, მათი მიმართვის საფუძველზე სამართლებრივი ხასიათის რეკომენდაციების მიცემა;

2.1.4. სახელშეკრულებო სამართლებრივი საქმიანობის სფერო:

ა) ხელშეკრულებების/შეთანხმებების/მემორანდუმების პროექტების მომზადება;

ბ)მესამე პირების მიერ მოწოდებული ხელშეკრულებების/შეთანხმებების/მემორანდუმების პროექტების რევიზია;

2.1.5. სამართლებრივი განვითარების საქმიანობის სფერო:

ა) აღსრულების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით უცხო ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკის შესწავლა, გამოცდილების ანალიზი და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარისათვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა;

ბ) ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობა და ახალი პროექტების დანერგვის ხელშეწყობა;

გ) სააღსრულებო საქმიანობის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის სიახლეების აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულებისათვის და ტერიტორიული ორგანოებისათვის გაცნობა;

დ) აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულებისათვის და ტერიტორიული ორგანოებისათვის აღსრულების სფეროში საკანონმდებლო სიახლეებთან დაკავშირებული ტრეინინგების გამართვა.

2.1.6. სასარჩელო–საპრეტენზიო საქმიანობის სფერო:

ა) სამართლებრივი დავის არსებობისას აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლობა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისა და პირების წინაშე;

ბ) სასამართლოში აღსრულების ეროვნული ბიუროს ინტერესების დაცვის განხორციელება და ამ მიზნით სასამართლო პროცესებზე წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, მინდობილობების, სარჩელების, შესაგებლების, შუამდგომლობების, საჩივრების და სხვა პროცესუალური აქტების მომზადება.

გ) აღმასრულებლების მოქმედების გასაჩივრების თაობაზე საჩივრების განხილვა, აღსრულების ეროვნული ბიუროს თამვჯდომარის შესაბამისი ბრძანების მომზადება;

2.2. ამ მუხლის 2.1. პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების გარდა, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ასრულებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის და კურატორი მოადგილის სხვა დავალებებს.

3. იურიდიული სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

3.1. სამსახურის სტრუქტურა განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

3.2. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის და სამსახურის იურისტებისგან. სამსახურის იურისტების საშტატო რაოდენობა განისაზღვრება აღსრულების ეროვნული ბიუროს საშტატო

განრიგით, რომელსაც საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით ამტკიცებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

3.3. სამსახურის საქმიანობას უძღვება და ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანხმობით აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე.

4. იურიდიული სამსახურის უფლებამოსილებები

4.1. სამსახური უფლებამოსილია:

4.1.1. სამსახურის ფუნქციების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით გამოითხოვოს ბიუროს სხვა სტრუქტურული ერთეულებისგან და ტერიტორიული ორგანოებისგან საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

4.1.2. არ მოახდინოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების მიერ მომზადებული სამართლებრივი შედეგის გამომწვევი აქტების ვიზირება მათი საქართველოს კანონმდებლობასთან და/ან აღსრულების ეროვნული ბიუროს კანონიერ ინტერესებთან შეუსაბამობის საფუძვლით;

4.1.3. მოიწვიოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული კურატორი მოადგილის თანხმობით – სხვა სპეციალისტები სამართლებრივი ხასიათის ისეთი საკითხების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, რომლებიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას;

4.1.4. დააყენოს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის წინაშე საკითხი ისეთი აქტების შეჩერების ან გაუქმების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ზიანს აყენებს პირთა ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს;

5. იურიდიული სამსახურის პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

5.1. სამსახური პასუხისმგებელია:

5.1.1. აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრული ამოცანების და ფუნქციების კეთილსინდისიერად და ჯეროვნად განხორციელებისათვის;

5.1.2. აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის განზრახ ან დაუდევრობით მიყენებული ზიანისათვის;

5.2. სამსახური არ აგებს პასუხს იმ ნეგატიური შედეგებისათვის, რომელიც წარმოიშობა აღსრულების ეროვნული ბიუროს სხვა სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების და სხვა ორგანოების/პირების მიერ სარწმუნო ინფორმაციის/ დოკუმენტაციის დროულად მიუწოდებლობის გამო, ისევე როგორც სამსახურის მიერ მიცემული რეკომენდაციის/დასკვნის გაუთვალისწინებლად განხორციელებული ქმედების გამო.

5.3. სამსახური ანგარიშვალდებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის და კურატორი მოადგილის წინაშე;

5.4. სამსახური, განხორციელებული საქმიანობის შესახებ, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს და კურატორ მოადგილეს წარუდგენს პერიოდულ (თვის, კვარტლის და წლის) ანგარიშებს. ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის და/ან კურატორი მოადგილის მოთხოვნით, სამსახური წარადგენს კონკრეტულ საკითხთან და/ან პერიოდთან დაკავშირებულ ანგარიშებს.